# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ალგილებში: | | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ", при типографіи Меликова и К-°.**

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 16. სამშაბათი. I. 18 ივნისს 1868 წ.

**შინაარსი:** ოფიციალური ნაწილი: — ტფილისის გუბერნატრის მიწერილობა უეზდის ნაჩალნიკებთან. — არა ოფიციალური ნაწილი: ხორციანი ნაყოფების მცენარე. — რაჭიდგან კორრესპონდენცია. — შინაური ექიმობა: ძაღლების ცოფი. — საოჯახო ნაწილი: ბატების მოვლა, გამრავლება და იმისაგან შემოსავალი. — სხვა და სხვა ამბავი.

## ოფიციალური ნაწილი.

### ТИФЛИССКАГО ГРАЖДАНСКАГО ГУБЕРНАТОРА

Циркулярное предписаніе 6 мая 1868 г.

*Уѣзднымъ Начальникамъ Тифлисской губерніи.*

II. По дѣламъ о преступленіяхъ подсудимыхъ Окружному Суду, т. е. о такихъ, за которыя полагается наказаніе, соединенное съ лишеніемъ или ограниченіемъ правъ состоянія, обязанности Старшины заключаются главнымъ образомъ въ слѣдующемъ: а) О всякомъ такомъ преступленіи Старшина немедленно, и никакъ не позже сутокъ о полученіи о томъ свѣдѣнія сообщаетъ Мировому Судьѣ и представляетъ Прокурору Окружнаго Суда съ объясненіемъ гдѣ именно совершено преступленіе и какому Мировому Судьѣ о томъ послано сообщеніе (ст. 250 Уст. Уголов. Судопр.). б., Когда Мировой Судья или его помощникъ не прибудутъ тотъчасъ на мѣсто совершенія преступленія, или когда Старшина извѣстится о преступленіи не изъ достовѣрныхъ источниковъ, то онъ производитъ о преступленіи дознаніе точно также, и съ соблюденіемъ тѣхъ же правилъ, какъ и при производствѣ дознаній по преступленіямъ подсуднымъ Мировому Судьѣ. Передавая дознаніе Мировому Судьѣ, Старшина обязанъ довести о томъ до свѣдѣнія Прокурора Окужнаго Суда, объяснивъ кратко, обнаружено-ли что либо дознаніемъ (ст. 253—255 Уст. Уголов. Судопр.) в) До прибытія Мироваго Судьи, или его помощника на мѣсто преступленія, Старшина принимаетъ мѣры, чтобы обвиняемый не скрылся, а слѣды преступленія не сгладились (ст. 256); къ слѣдамъ преступленія Старшина ставитъ караулъ, стараясь чтобы ничто по возможности не измѣнило своего первоначальнаго вида, а съ обвиняемымъ поступаетъ согласно 257 ст. Уст. Уголов. Судопроиз., отнюдъ не отступая отъ правилъ въ этомъ законѣ указанныхъ; г., Во всякомъ случаѣ Старшина, когда встрѣчается надобность сдѣлать осмотръ мѣстности, не ожидаетъ для этого Мироваго Судьи, а извѣстивъ его о преступленіи, самъ производитъ осмотръ и освидѣтельствованіе; если же Мировой Судья прибудетъ во время самаго осмотра, то Старшина передаетъ тутъ же все имъ составленное Мировому Судьѣ, или его помощнику и затѣмъ прекращаетъ свои дѣйствія до полученія особыхъ о томъ порученій (ст. 260). д., Въ тѣхъ случаяхъ, когда Старшина извѣстится о преступленіи только что совершившемся, а равно когда до прибытія Мироваго Судьи или его помощника слѣды преступленія могутъ изгладиться, то Старшина исполняетъ всѣ дѣйствія, нетерпящія отлагательства, т. е. дѣлаетъ обыски, выемки въ домахъ, осмотры. Въ этомъ случаѣ Старшина руководствуется правилами, предписанными въ ст. Уголов. Судопр. для судебныхъ слѣдователей въ ст. 315, 322, 325, 331, 330, 336, 345, 349, 352, 357, 368, 371, 374, 415 и 426. Но формальныхъ допросовъ ни обвиняемому ни свидѣтелямъ Старшина не производитъ, а только расспрашиваетъ ихъ словесно, за исключеніемъ того случая, когда кто либо изъ этихъ лицъ опасно боленъ, и можетъ умереть до прибытія судьи или его помощника (ст. 258 Уст. Уголов. Судопр.) По прибытіи же на мѣсто Мироваго Судьи или его помощника Старшина прекращаетъ свои дѣйствія, и все производство немедленно передаетъ Судьѣ (ст. 260). е., По прибытіи Мироваго Судьи на мѣсто, и по передачѣ ему дѣла, Старшина, прекративъ свои дѣйствія по производству самаго слѣдсвія все таки продолжаетъ слѣдить за открытіемъ виновнаго, производя свои наблюденія не гласно посредствомъ словесныхъ распросовъ, никого не допрашивая формально, и не производя обысковъ. Въ этомъ отношеніи дѣятельность Старшины должна быть направлена къ доставленію Мировому Судьѣ необходимаго пособія, безъ чего многія преступленія останутся не

обнаруженными. Открив что либо, Старшина немедленно сообщаетъ о томъ Судьѣ (ст. 255 Устав. Уголов. Судопр.) ж., Въ случаѣ, если Мировой Судья, или его помощникъ, окончивъ свои дѣйствія, выѣдетъ изъ мѣста совершенія преступленія, а Старшина безъ него посредствомъ негласнаго дознанія обнаружитъ новыя данныя, по которымъ представится необходимымъ исполнить дѣйствія, нетерпящія отлагательства, то въ такомъ случаѣ Старшина, немедленно увѣдомивъ о томъ Судью, поступаетъ какъ сказано въ п. д.

III. По усмотрѣннымъ лично Мировымъ Судьею преступнымъ дѣйствіямъ онъ можетъ возлагать на Старшинѣ производство предварительныхъ розысковъ, равно дознаній и собиранія различныхъ свѣдѣній и въ этомъ отношеніи Старшина обязанъ исполнять всѣ требованія Судьи (ст. 52, 105, 271) къ производству же осмотровъ, освитѣтельствованій и обысковъ, сель. Старшины приступаютъ только въ такихъ исключительныхъ случаяхъ, когда дѣйствія эти не могутъ быть исполнены лично Мировымъ Судьею или его помощникомъ и при не возможности отложить ихъ до другаго времени (ст. 106 Уст. Уголов. Судопр.).

IV. Изложенныя въ этихъ указаніяхъ дѣйствія Старшины должны исполнять со всевозможною поспѣшностью.

V. Порядокъ отвѣтственности сельскихъ Старшинъ, какъ агентовъ полиціи, за не исполненіе обязанностей, возложенныхъ на нее судебными уставами опредѣляется въ ст. 53, 483—488 Уст. Уголов. Судопр.

Обо всемъ вышеизложенномъ, сообщая г. г. мѣстнымъ Начальникамъ, предлагаю къ ознакомленію съ дѣланными указаніями подвѣдомственныхъ имъ чиновниковъ, сдѣлать надлежащее распоряженіе.

Губернаторъ *К Орловскій.*

---

## უ. ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის მიწერილობა

### უ. ტფილისის გუბერნიის უეზდის ნაჩალნიკებთან.

II. იმისთანა დანაშაულობისა გამოთ, რომელიც ოლქის სასამართლოს განხილვას ეკუთვნის, ესე იგი რომლისთვისაც დამნაშავე დაისჯება და ამასთან უფლება ან სრულებით ან ზოგად წაერთმევა, ამისთანა დანაშაულობა რომ მოხდეს მოხელეების ვალდებულებაა, როგორც პოლიციის აგენტებისა: ა) ყოველი ამ გვარი დანაშაულობა ერთ დღეზე აცნობონ მომრიგებელ მოსამართლეს და ოლქის სასამართლოს პროკურორს, რომ სად მოხდა ეს დანაშაულობა და რომელ მომრიგებელ მოსამართლისათვის უცნობებიათ. ბ) თუ მომრიგებელი მოსამართლე ან იმისი თანაშემწე მაშინვე არ მოვიდნენ დანაშაულობის ადგილსა, ან მოხელეს ნამდვილი ცნობა არ მოუვა დანაშაულობის მოხდენაზე, მაშინ მოხელე მოაგროვებს ცნობასა იმ გვარათ, როგორც შეესაბამება მომრიგებელ მოსამართლესა. ამ ცნობაებს გარდასცემს მომრიგებელ მოსამართლესა და ოლქის სასამართლოს პროკურორს აცნობებს თუ რამე შეუტყვია დანაშაულობაზე. გ) მომრიგებელი მოსამართლის ან იმის თანაშემწის მოსვლამდის მოხელე უნდა ცდილომდეს, რომ დამნაშავე არ დაიმალოს და დანაშაულობის ნიშნები არ გაქრეს; დანაშაულობის ნიშნებთან ყარაულს აყენებს, რომ არა შეიცვალოს რა და დამნაშავეს ისე ეპყრობა, სამოსამართლო წარმოების სისხლის კანონის 257 მუხლისაებრ, და ამ კანონს არ უნდა გადავიდეს; დ) მაინც ყოველსავე შემთხვევაში როდესაც საჭიროა ადგილის გაშინჯვა, მოხელე არ უცდის მომრიგებელის მოსამარ. მოსვლასა, აცნობებს იმას დანაშაულობის მოხდენასა და თითონ შეუდგება შინჯვასა და შემოწმებასა; თუ მომრიგებელი მოსამართლე მოვიდა შინჯვის დროსა, სოფლის მოხელე თავის შედგენილ ქაღალდს მაშინვე გადასცემს მომრიგებელ მოსამართლესა და შემდეგ საქმეს თავს ანებებს, ვიდრე საკუთარი რამ ამ საქმეზე კიდევ არ მიენდო. ე) იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელე შეიტყობს, რომ დანაშაულობა ეს არის ეხლა მოხდა ან როდესაც მომრიგებელ მოსამართლეს და იმის თანაშემწეს მოსვლამდის დანაშაულობის ნიშნები გაჰქრება, ამ შემთხვევაში პოლიცია მოახდენს ყოველსავე საქმეს, რომლისაც გადადება არ შეიძლება, ესე იგი, მოახდენს სახლის შინჯვასა და საქმის ჩხრეკასა. ამ შემთხვევაში ყოვლივე კანონისამებრ უნდა ალასრულოს. მაგრამ ფორმალურ დაკითხვას დამნაშავისას და მოწმებისას მოხელე არ მოახდენს, მხოლოთ სიტყვით ჰკითხავს, იმ გარემოებისა გარდა, როდესაც ამ კაცებში ძალიან ავათ არის და მოსამართლის ან იმის თანაშემწეს მოსვლამდე იქნება მოკვდეს. რაკი ადგილობრივ მოვა მომრიგებელი მოსამართლე ან იმისი თანაშემწე, მოხელე საქმეს თავს ანებებს და საქმის წარმოებას მოსამართლეს გადასცემს. ვ) მომრიგებელი მოსამართლე რომ ადგილს მოვა და მოხელე საქმეს გადასცემს და თავს დაანებებს საქმის გარემოებასა, მაინც კიდევ თვალყურს ადევნებს დამნაშავების გამოჩენასა; მაგრამ თვალყური უნდა ადევნოს დაფარულათ, დაუკითხველათ და სახლის გაუჩხრეკელათ. ამ შემთხვევაში მოხელეს ცდა ის უნდა იყოს, რომ მომრიგებელ მოსამართლეს ყოველი ღონისძიება მიეცეს, თორემ უამისოთ მრავალი დანაშაულობა დარჩება დაფარულათა. რაკი მოხელე რასმე გამოაჩენს, მაშინვე მომრიგებელ მოსამართლეს უნდა აცნობოს. ზ) მომრიგებელი მოსამართლე და იმისი თანაშემწე თავის საქმის შესრულების შემდეგ წავლენ და მოხელე უიმითოთ დაფარული თვალყურის დევნებით ახალ ცნობაებს გამოაჩენს, რომლისთვისაც საჭიროა საქმის წარმოება მალე მოხდეს, მოხელე მაშინვე აცნობებს მოსამართლესა და თითონ ისე მოიქცევა, როგორც ზემოხსენებულია.

III. მომრიგებელ მოსამართლისაგან ცნობილს დანაშაულობაში იმას შეუძლია მოხელეს მიანდოს წინათ საჭირო ძებნის მოხდენა, მოკითხვა და სხვ და სხვა ცნობების შეკრეფა და ამ შემთხვევაში მოხელე ვალდებულია, მოსამართლის მოთხოვნილება აასრულოს; გაშინჯვა, შემოწმება და გაჩხრეკა მოხელეებისაგან მხოლოთ მაშინ მოხდება, როდესაც ეს საქმეები თითონ მომრიგებელ მოსამართლეს ან იმის თანაშემწეს არ შეუძლია აასრულოს და როდესაც შემდეგისათვის გადადება საქმისა არ შეიძლება.

IV. ამ ჩვენებაებში მოხსენებული საქმეები მოხელეთაგან უნდა ალსრულდებოდეს ფიცხლად.

V. მოხელეთა პასუხის მგებლობის რიგი აუსრულებლობისთვის, იმათის ვალდებულებისა, რომელსაც ვალათ ადებს სამოსამართლო წესდებულება ეს მოხსენებულია წესდებულების სისხლის სამოსამართლო წარმოების მუხლებში.

ყოველს ამა ზემოხსენებულს ვაცნობებ რა ადგილობრივ ნაჩალნიკებსა, მივუწერ რომ ეს აცნობონ თავიანთ ხელქვეით მოხელეებს.

გუბერნატორი. ქ. ორლოვსკი.

## არა ოფიციალური ნაწილი.

### სამეურნეო ნაწილი.

**ხორციანი ნაყოფის მცენარეები.**

ხორციანი ნაყოფის მცენარეებს განსაკუთრებითი მოვლა უნდა, რომ იმათი ნაყოფი უფრო სრული და კარგი გემოსი იყოს. ამ გვარ მცენარეებს ეკუთვნის: კიტრი, გოგრა, ნესვი, საზამთრო, სატაცური და სხვა.

1. კიტრებისთვის ცოტა ქვიშა ნარევი შავი მიწა არის კარგი, მეტადრე თუ სამხრეთისკენ არის დაქანებული და მაღლობზედაც მდებარეებს; დაბლობ ალაგებში კიტრის თესლი ცივი ნამისა და დილის სიცივისაგან ხშირად ხდება. კიტრის თესლი ჩაღრმავებულ შარში უნდა დაითესოს და ორი გოჯის სიღრმეზედ უნდა ჩაიფლას მიწაში, ამასთან ერთმანერთზე შვიდ ან რვა გოჯზე გაშორებით, რომ ცივმა სიომ არ წაახდინოს ახლად ამოსული კიტრები და კვლებშიაც უფრო ბევრი სინოტივე შეინახოს. როცა მცენარე რამდენადმე გაიზრდება, მაშინ შარს უნდა მიწა დააყარონ, მაგრამ მაინც კიდევ ისე, რომ ცოტა ჩაღრმავებული კიდევ დარჩეს, რომ წყალს შეეძლოს შიგ დაგუბება, რადგანაც სისველე სიცხეში ძალიან საჭიროა კიტრებისთვის. კვალს ყოველთვის გამარგვლა და გაწმენდა უნდა, რომ ყველა გვარი ნაგავი მოაშორონ. კიტრების ბლომად მოსვლა თბილ დარზეა დამოკიდებული; წვიმიან (ავდრიან) ამინდში კიტრი ცოტა მოდის და შავ მუწუკებს (ხორკლებს) დაისხავს ხოლმე. კიტრის თესლი, თუ კარგა შენახულია, ესე იგი თუ სინოტივეში არა დებულა და გრილად, მშრალად შენახულა, ხუთი-ექვსი წლის შემდეგაც რომ დათესონ მაინც ამოვა. სათესლედ სჯობია პირველად მოსული (ნაადრევი) მსხვილი კიტრი შეინახონ და მანამ არ შეყვითლდება არ უნდა მოგლიჯონ. რომ მიწაზე დებისაგან არ დალპეს კიტრს ქვეშ თიხის ნატეხები უნდა დაუწყონ.

2. გოგრა (კვახი) თავის თავად მოდის ალმოსავლეთის ქვეყნებში. გოგრას ძალიან უბრალო მოყვანა უნდა: კარგ, მსუქან და ნოტიო ადგილზე ხუთ გოჯზე ჩაღრმავებულ შარებს გაავლებენ და მასში დათესენ თესლს, ისე რომ ერთმანეთზე ორ არშინზე იყოს მოშორებული; პირველ ხანებში ხშირადა რწყავენ, მეტადრე სიცხიან ამინდებში. გოგრას, კვახს, გარდა იმისა, რომ შემწვარსა ხმარობენ, ამას გარდა იმისგან სხვა გვარ საჭმელებსაც აკეთებენ, მაგ. ფაფას; ამასთან სხვა საჭმელებშიაც სანელებლად ხმარობენ, მაგ: ერბოთი და კვერცხით აზელენ გოგრას, დაარგვალებენ პატარ-პატარად და წვენში ქუფთასავით ჩაატანენ ხოლმე. ამას გარდა სხვა ნაირადაც ხმარობენ. იმისგან აცხობენ პურს; ამისთვის ამოარჩევენ მომსხო გოგრებს, დაჭკეპენ წვრილ-წვრილად, მოხარშვენ მარილ წყალში, მინამ არ ჩაიშლება, და მოზელენ ფქვილში პურის ცომათ, მერე აცხობენ როგორც პურს; ეს პური ძალიან ნოყიერია და არც ჩქარა იფიტება (ხმება); ახალი გამამცხვარი ძველზე გემრიელი არის და სასიამოვნოა. ქორფა გოგრებს მწნილად ინახვენ ხოლმე, როგორც კიტრსა, და აგრეთვე ჩინებულ მურაბასაც აკეთებენ.

3 სატაცური თბილ ქვეყანაში კარგა მოდის და ჩვენში მინდვრათაც იზრდება. სატაცური ბევრ ნაირია: იმათგანი ორი ჯიში უფრო გახშირებულია: თეთრი და მწვანე-წითელი. თუმცა ჩვენში მინდვრათაც კარგა მოდის სატაცური, მაგრამ უხორცოა, და ვისაც ხორციანი და ჯიშიანი სატაცური უნდა, იმან მიწა უნდა მოუმზადოს კარგა და შიგ დათესოს. მიწა მსუქანი და ალქატი (ნაშალი) უნდა იყოს. თუ მიწა ესეთი არ არის ბუნებით, მაშინ უნდა ამოთხარონ რამდენიმე კვალი სიგანითა და სიღრმით არშინ ნახევარზე. ეს ამოთხრილი კვლები უნდა ამოავსონ დამწვარი სასუქითა და შავი მიწით, ასე კი რომ ერთმანეთში არ აურიონ, არამედ კეცკეცად უნდა დააყარონ, ჯერ სასუქი, მერე შავი მიწა, მერე სასუქი და სხვ., იმ ანგარიშით კი, რომ ზევითი (მიწის) პირი მიწა მოვიდეს. ამ გვარად მომზადებულ კვალს ერთ წელიწადს ისე უშვებენ, და მერე შიგ რგავენ სატაცურის ფესვებს. საფესვედ კარგი ჯიშის სატაცურის თესლი უნდა დათესონ კარგ მსუქან მიწაზედ; დათესვა შემოდგომაზედ უნდა; გაზაფხულზედ ამოდის დათესილი; პირველ ორ სამ წელიწადს ბევრი მოვლა არა უნდა რა, გარდა გამარგვლისა. სამი წლისა რომ გახდება, მაშინ ფესვები უნდა გადარგონ მომზადებულ კვალში (ზევით რომ ვსთქვით, ისე უნდა მომზადდეს გადასარგავი კვალი). კვლის სიგძეზე სამი შარი უნდა გაატარონ, ყველა შარში პატარა ორმოები უნდა ამოთხარონ; ეს ორმოები ერთმანეთზე ორი მტკაველის სიშორეზე უნდა იყვნენ. მაშინ დათესილი კვლებიდგან იღებენ სატაცურის ფესვებს და ამ ორმოებში რგავენ. დარგვა გაზაფხულზე უნდა, როდესაც ყინვები აღარ იქნება. როცა რგავენ, ფესვებს ცოტა ბოლო უნდა დააჭრან, მერე ორმოებში ცოტა კარგი მიწა ჩაყარონ და ისე ჩარგან სატაცურის ფესვები; როცა ჩარგავენ კიდევ კარგი მიწა უნდა შემოაყარონ ფესვს გარეშემო და ხელით შემოუტკეპნონ, და როცა ამ ნაირად დარგვენ მთელ კვალს, მაშინ ორმოებში მიწა უნდა ჩაყარონ ისე კი, რომ ფესვები მიწაში ოთხ გოჯზე მეტად არ დაიმალოს. ამ დროს მარგვლა და წმენდა უნდა ხშირად სატაცურის კვლებს. თუ რომ რომელიმე ჩარგული მცენარეთაგანი ერთ თვეზედ არ ამოვიდეს, მაშინ ის ადგილი უნდა ჩხირით დანიშნონ, რომ მეორე გაზაფხულზე სხვა სატაცურის ფესვები ჩარგან იმის მაგიერად. სატაცური შემოდგომაზე რა წამს თოვლი გიდნება მაშინვე უნდა ჩარგონ. სადაც ნიადაგი ნოტიოა, იქ კვლები ერთ მტკაველზე უნდა აამაღლონ. გაზაფხულზე ქორფა სატაცურს თავები უნდა შეაკვეცონ; კვლები ფრთხილად უნდა დათოხნონ და სამ გოჯზედ კარგი მიწა დააყარონ ზევიდამ; ხოლო რაც კვალზე გორაკებია და დაუშლელი სასუქი სულ უნდა გაწმინდონ, აგრეთვე მარგვლაც ხშირად უნდა, რომ სატაცური ძალიან წმინდა კვალში იყოს. სამ წელს შემდეგ შეიძლება სატაცური მოჰკრიბონ, მაგრამ წინა პირველად ცოტა, რომ ფესვები არ დაუსუსტდეს. თუ რომ გინდათ კარგა გამრავლდეს ქორფა სატაცური, წლის გამოშვებით მოკრიფეთ ხოლმე, რომ მეორე წელს გამრავლდეს. სატაცური მრავალ წლოვან ფესვებს ეკუთვნის: ერთხელ რომ გააშენოთ თხუთმეტიდამ ოც წლამდე სძლებს.

### კორრესპონდენცია რაჭიდამ. დაბა ონი

(გაგრძელება)

მაგრამ რაჭველების ხასიათის ზემოხსენებულ კარგ თვისებებთან, შრომის მოყვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობასთან, სიმშვიდესთან და (ლმობიერებასთან) მოთმინებასთან—მათ აკლიათ ბევრი კარგი თვისება, რომელიც საქართველოს სხვა მაზრების მცხოვრებლებში იპოვება... რაჭველები დაცემული და მძიმე ხალხია, მათ აკლიათ თავისი საკუთარი ღირსების გრძნობა, თავიანთი თავის იმედი, რომელიც ძვირფასი რამ არის ხალხისათვის! არ არის საქები ის კვეხნა და ტრაბახობა, რომელიც ზოგიერთმა კახელებმა და იმერლებმა იციან, მეორის მხრით არც თავის დამცირება და თვისი თავის პატივის მოკლება ვარგა, როგორც რაჭველებს ჩვევიათ. ერთს გურულს გლეხსა ჰკითხეს: „აზნაური ხარ თუ ყაძახიო?" (იმერეთში გლეხს ყაძახს ეძახიან) და მან ამაყათ უპასუხა: „კაი კი ვარ, კილაე, და რას ჩივი შენ, აზნაური ვარ თუ არაო". ამ გვარ პასუხს ვერაოდეს ვერ გაიგონებთ აქაური გლეხისაგან...

რაჭველებში ამას გარდა ძალიან გავრცელებულია ცრუ მორწმუნება. ბუნების სხვა და სხვა მოვლინებებს შეუშინებია ხალხი და მას შეუდგენია ჰაზრი ვიღაც მავნებელ ტყის კაცების არსებობაზე, რომელთაც ქაჯებს, ჭინკებს და კუდიან ქალებს ეტყვიან. მე მსურს აქ მოვიყვანო ამ ტყის მცხოვრებლებზე ერთი ნაამბობი, და ვსთხოვ მკითხველს, თუ ამ გვარი ზღაპრები როდისმე გაუგონია, ეს ადგილი გამოუშვას და ნუღარ იწუხებს თავს იმის წაკითხვით. ჩვენ შეგვემთხვა ერთხელ აქ ღამით მოგზაურობა და ჩვენ, მე და ერთი ჩემი მეგობარი, წინ წავედით თოვლიანს და ტალახიანს გზაზე. ვიწრო გზა რიონის პირს მისდევდა ხან აღმართზე და ხან დაღმართზე და იქეთ აქეთ კლდეები და მთები დაგვცქეროდნენ თავზე, თითქო გზას უღარაჯებდნენ... ჩვენ დიდხანს ვიარეთ, მართლა დიდი გაჭირება და დაბრკოლება ცუდი გზებისაგან, წყლებისაგან და მეწყრებისაგან გამოვსცადეთ. ძლივს ლა ერთს დუქანს იმერეთის და ლეჩხუმის საზღვარზე მივაღწიეთ, იქ ჩამოვხდით და დავისვენეთ. მაგრამ ძილი კი არ მოგვეკიდა, რადგანაც ეს დუქანი ზედ ღელის პირზედ იყო და ამ ღელეს საშინელი ხმა და ღრიალი გაჰქონდა; ამას გარდა წამოსაწოლი ადგილიც ვერ ვიშოვეთ: რაც ადგილები იყო კერის ირგვლივ სულ მგზავრებს დაეჭირავათ და შუაზე კი კარგი ცეცხლი იყო გაჩაღებული. განთიადის დროს კარებზე მოგვადგა ჩვენი ცხენის პატრონი, რომელსაც დაეგვიანა და ჩვენზე უკან წამოსულიყო. მან დააკაკუნა, ჩვენ გაუღეთ კარი, შევხედეთ: ეს კაცი ძალიან ფერმკრთალია და ხელებში დიდი თოფი უჭირავს. შემოვიდა თუ არა, მან წამოიძახა: „ჩემ სიცოცხლეში ამისთანა გაჭირება არ გამომიცდია, რა ეშმაკმა გამაბრიყვა, რომ მე ამისთანა დასაქცევ ადგილში ღამე გამოგყევით. მთელი გზა, თქვენ არ მომიკვდეთ, მე სული არ ამომითქვამს, სულ იქეთ აქეთ ვიყურებოდი და ხელებში თოფი გადებილი მეჭირა; და სწორედ ღმერთმა დამიცვა, თვარა ეშმაკებით და მაცდურებით, ქვე, თქვენც უკეთ მოგეხსენებათ, სულ სამსეა ეს ტყეები და კლდეები. იქინა, განაგრძელა მან, გვარიანი მინდორი რომ გახლავს, იქანა ერთი ლამაზი ქალი დამხვდა. მე შოუძახე, ვინ ხარ შენ, ქაჯი თუ კაცი-თქვა? იმან რაცლა დეიბლუკუნა და ხმაც არ გამცა და ასთე ორმოც ლაჯზე გამომყვა და მერე, რო უყურე აღარ მცილდება, დევიწერე პირჯვარი და დევიძახე: „ფუი ეშმაკს, ფუი მაცდურს"! მევიხედე და მაცდური გამქრალიყო, ისთე გამქრალა თქვენი მტერი". ეს, ჩვენი ჰაზრით ის ყმაწვილი მწყემსი მეგრელი იყო, რომელიც ჩვენც გზაზე შეგხვდა და რომელსაც ქართული არ ესმოდა.

„კიდო კარგათ გადარჩენილხარ შენ, ბიძიკო", უთხრა მას ერთმა კუდაბზიკა მგზავრმა, „თვარა თუ ერთიცახე ხმა გეეცი კუდიანს, მაშინათვე დამუნჯდები და თუ შეცდი იმის სილამაზეზე იმ წამსვე დაკუნტდები და დავარდები და შენი მორჩენა არა ფრით აღარ მეიხერხება. ჩემი სახლი-კაცს ერთი მუნჯი ყავს ასთე მაცდურისაგან დამუნჯებული. კიდო კარქათ გადარჩენილხარ თუ სხვა არაფერი შეგმთხვევია ამ საშინელ ღამეში, ჩემო ძმობილო.

„რავა არა, წამოიძახა ახლად შემოსულმა, რომელმაც ფეხები ცეცხლში ჩაყარა და ხელებს ალზედ ითბობდა,--რავა, ამ ამოსაგდებ ალაგს ბარე ორჯელ წამევიდა ერთი ღრიალით და ყვირილით კლდისგან ცეცხლივით ქაჯი და ხეებს ტყეში სულ ლაწა-ლუწი ოუდინა. მაშინათვე მე თოფი გოუშვირე, გევისროლე და ქაჯი წყალში გადავარდა ერთის ხმით და ყვირილით". ამ სიტყვებზე მედუქნეები და მგზავრები პირჯვრის წერას მოჰყვენ და იძახოდენ: „ღმერთმა დაწყევლოს და დალახვროს წმინდა გიორგიმ", და ზოგიერთს იმათგანს შიშისაგან თმაც აებუძგა. „არა, ამ ჩვენ ქვეყანაში რომ ქაჯები და კუდიანები იცის, დაიწყო მანვე, იმდენი არსად არ იცის. იქ რომ გამოქვაბული ღვიმევი კლდე გახლავსთ, იქიდგან ქვა მესროლა ქაჯმა და კილამ თავი გამიტეხა; ცოტა კიდო გამევიარე და ამ მოწმენდილ, მარსკვლავებით მოჭედილ ცაში კლდიდგან წყალი და თოვლი მესროლა ეშმაკმა, დასწყევლოს ღმერთმა მისი სახსენებელი".

„მართლა, თქვენ ნუ მომიკვდებით, დაუმატა მეორე მგზავრმა, საკვირველი იციან ქაჯებმა; თუ კარქი დარია, თოვლს გესვრის და თუ ავი დარია მშრალს მიწასა და ქვას მოგაყრის".—ყველა ეს კუდიანების და ქაჯების მოქმედებანი ჩვენ მაშინვე ბეჯითად ავხსენით. ის ქაჯი, რომელიც კლდის წვერიდამ წამოსულიყო და ტყე აეოხრებია, უთუოთ ზვავი იყო წამოსული, და წვიმა, მოწმენდილ ამინდის დროს ჩვენც ვნახეთ: ერთი პატარა ღელე ხან და ხან თავის მდინარეობას იცვლის, ხან ქვევით კლდის გვერდით გამოდის და ხან კლდეზე გადმოასკდება. რაც შეეხება ქვების სროლას, მართლაც ქვები ხშირად ვარდება ხოლმე კლდეებისაგან და ჩვენც მოგვხვედრია ზურგში, მაგრამ ძალიან ვეჭობთ, რომ მათ ქაჯები და კუდიანები ისროდნენ!...

„ქაჯი ხომ ქაჯია! იმის ნამხველი მე არა ვარ, დაიწყო ერთმა მგზავრმა იმერელმა, რომელიც ადვოკატურად თითს ხან ჩვენ მოგვიშვერდა, ხან ზევით აიშვერდა და იქეთ აქეთ იქნევდა,—მარა ჭინკა რომ ჰყავდა ჩვენში ერთ კაცს, ეს კი სწორედ ვიცი". მან მოჰყვა ის ზღაპარი, რომელიც ჩვენ იმერეთში ხშირად გაგვიგონია: ვითომც ერთ კაცს ტყეში ჭინკა დაეჭიროს და ფრჩხილები დაეჭრას მისთვის და შინ მოსამსახურედ ეხმარებინოს. ერთს კვირას, როდესაც სახლის პატრონი წირვაზედ წასულა, ამ ჭინკას მისი შვილი შეეცდინა და მას ესწავლებინა ის ადგილი, სადაც ჭინკის ფრჩხილები შენახული ყოფილიყოს. ჭინკას ამოეღო ეს ფრჩხილები და თავის ხელებზე მიეწებინა და მითომ ის თავის ლონეზე მოსულიყოს და გაპარულიყოს. ყმაწვილი კი ჭინკას ვითომც მდუღარე წყალში ჩაეგდოს. „ასე გამიგონია თვარა მე ამას არ დავსწრობივარ," დააბოლოვა მგზავრმა თავისი ნაამბობი. ადრე კი გვარწმუნებდა, რომ ვითომც ჭინკა თვითონ ენახოს. საზოგადოთ სულ ასრე იციან, ბევრს ამ გვარ არაკებს ლაპარაკობენ და ვისაც კი ჰკითხავთ, ვერავინ ვერ გეტყვით, რომ

კუდიანები და ქაჯები ენახოს.—ამ გვარი ზღაპრები და ცრუ-მორწმუნება ძალიან გავრცელებულია მთელს რაჭაში და იმერეთშიაც...

როგორც საზოგადოდ იმერეთში, რაჭაშიაც იციან ყრილობა, რომელსაც ჯარს უძახიან. ახალკვირაობას (კვირაცხოველობას) გიორგობას ამაღლების დღეს ხალხი ბევრგან გასახალისებლად და თვალის სასეირნოდ შეგროვდება ხოლმე. მაგრამ ეს ყრილობა მკრთალი და სუსტი მიბაძვაა იმ განთქმული ქულაშის ახალკვირაობის და ხონის წმ. გიორგობისა, რომლებზედაც მთელს იმერეთიდამ სამი, ოთხი თვე ჯარში გამოსასვლელად ემზადებიან. რაჭაში ეკკლესიებთან მინდვრები არ არიან, და ხალხი იძულებულია შეიყაროს ხან ყანებში და ხან სად... აქ, ონში აღდგომის კვირის პარასკევს დღესასწაული იციან, მაგრამ ჩვენ დასამცვიფრებლად სულ თხუთმეტი ცხენოსანი ძლივს გამოვა ჯარში. ადრე, როგორც ამბობენ, უფრო დიდი დღესასწაული სცოდნიათ და ხანდისხან შექეიფების შემდეგ ხელებს ხანჯლებს და ხრმლებს მოისობენ და ტრაღიკულად თავდება ხოლმე აქაური კარგი დღე.. ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო ის ხალხის ყრილობა, რომელზედაც ჩვენ აღდგომის მეორე დღეს სოფ. ხვანჭკარას დავესწარით. აქ ამ დღეს შეიკრიბება ხოლმე აზნაურობა, სასულიერო წოდება, გლეხ-კაცობა, რომელთაც ხატის შესაწირავად პური, ღვინო, ფული და სხ. რამეები მიაქვსთ. ხატი მაღლა კლდის წვერზე ასვენია, სადაც ეხლა ხალხი ვერ ადის, და ამ კლდის ქვეშ შეიკრიბება რა დიდი გროვა ხატისაკენ პირ მიქცეული, ერთი დიაკონი სახელდობ მოიხსენებს ყველას, ვისაც კი რაიმე შესაწირავი შემოუტანია. დიაკონი წამოიძახებს: „ამა და ამ ჯაფარიძემ, ქვიკვიძემ, გოცირიძემ ესა და ეს შემოსწირაო". ამაზედ ხალხი უპასუხებს: „დალოცოს და ააშენოს ღმერთმა ესა და ეს" (სახელს და გვარს მოიხსენებენ). ხანდახან დიაკონი, როდესაც ხალხი მას ყურს არ უგდებს, გაჯავრებით დაიყვირებს: ქვე ქი თქვა, ქვე რა დეგემართათ, ქვე დალოცვა დეიძახეთ,—და ხალხი ღრიალს მოყვება... ამას რომ გაათავებენ, იქვე დასხდებიან და კარგათ სადილს შეექცევიან. ამით ეს დღესასწაული თავდება.—

რაჭის მაზრის მცხოვრებლებთაგანი უმეტესი ნაწილი ქართველი ტომის შთამომავალია, ხოლო ონში 78 გლეხი ებრაელნი და ათი მოსახლე სომეხნი დასახლებულნი არიან; თვით აქაური მამასახლისის თანაშემწე ებრაელთაგანია,—ხალხს მოხელეების ამორჩევაზე სარწმუნოების ალმსარებლობაზე განრჩევა არ დაუდვია. ამათ გარდა რაჭაშივე სცხოვრებენ ოსები, რომელნიც კუდაროს საზოგადოებას შეადგენენ.—ეს მესამე წელიწადია, რაც რაჭის გლეხ-კაცობას ბატონ-ყმობის მოსპობა მიენიჭა, ხოლო ჯერ დებულების ოქმები ყოველგან არ არიან შედგენილნი, იმედი კი არის ერთი წლის განმავლობაში იმათი შესრულება და დამტკიცება გათავდეს. როგორც ზევითა ვსთქვით, აქ მიწის დიდი სივიწროვეა და მრავალნი მცირე მებატონეები არიან აქ. ამ დალოცვილებს, გლეხებს, არც სხვა ქვეყნებში გარდასახლება უსურვნიათ და ჭეშმარიტად არ ვიცით, რა მომავალი მოელისთ მათ? მაშინ როდესაც თუ სადმე გარდასულიყვნენ, აქ, ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ, არ გაჩნდებოდა ის სილარიბე, რაც ეხლა უთუოთ მოელის ბევრს აქაურ გლეხ-კაცობას.

ამას გარდა ნასყიდობის წერილებზე და ტყეებზედ ერთი თავის ხეთქა და დავიდარაბა არის. საზოგადოდ მებატონეები ნასყიდობის ქაღალდებს არ იღებენ, ვინადგან ისინი კანონიერად დამტკიცებულნი არ არიან და ტყეში უფასოდ სიარული გლეხებს მოუსპესთ. „ტყე, ბატონო, ღვთის გაჩენილია და მეფისობასაც და შემდეგაც სულ საზოგადოდ სოფლისა იყო; ტყე, გზა და წყალი ღვთისა და ქვეყნის არის" ამბობენ გლეხები თავის გასამართლებლად.

ეს ერთი წელიწადია, რაც აქ სოფლის სასამართლოები დაწესდნენ; საზოგადოდ მამასახლისებად და მოსამართლეებად ღირსნი პირნი არიან ამორჩეულნი. რასაკვირველია კანონები, თვით კითხვა-წერაც ბევრმა მათგანმა არ იციან, მაგრამ თავიანთი მდგომარეობა, სოფლის ცხოვრება და ჩვეულება და ადგილობრივი გარემოებანი მათ კარგათ ესმისთ. თითქმის ყოველს საზოგადოებაში მათ სამწერლო (კანცელარიები) აუშენებიათ და საზოგადო კეთილ-დღეობისათვის ზრუნვენ, რამდენათაც გაეგებათ. ზოგიერთი დიდი სოფლები, მაგ. სადმელი და ბუგეული, კარგი სანახავია: გლეხები სცხოვრებენ ჯგუფ-ჯგუფად, როგორც ქართლში და კახეთში, და არ არიან ისრე გაცალკევებულნი და გაბნეულნი, როგორც იმერეთში; ყველანი ისინი ყავრით გადახურულ, ფიცრულ სახლებში სდგანან და ერთს საზოგადოებას შეადგენენ. სოფლის სასამართლოებს ბოგირების, ხიდების და ფართო საურმე გზების კეთება დაუწყვიათ. რა ჯაფა და ხარჯი გზების და ხიდების გაკეთებაში აქაურ გლეხებს მიუღიათ, სხვათა შორის მე აქ ერთ მაგალითს მოვიყვან. ბუგეულის მახლობლად სოფლების მცხოვრებლებს რიონზე ხიდის აშენება განუზრახავთ, შეუგროვებიათ 400 თუმანი და გაუკეთებიათ დიდი, თლილი ქვის ხიდი, მაგრამ, სამწუხაროდ. ვისი რჩევით არ ვიცით; ეს ხიდი ჭალა ადგილზე გაუკეთებიათ და ძალიან საეჭვოა, რომ რიონმა გადიდების დროს ის იქ დააყენოს. როგორც ვიცით, აზნაურობას ამ ხიდის გაკეთებაზე არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მაშინ როდესაც ისინი იმით უფრო ხშირად სარგებლობენ და უფრო ხშირი მისვლა მოსვლა რიონის გაღმა-გაოღმა სოფლებში აქვთ!.

რაც შეეხება შკოლებს, ჯერ, სამწუხაროდ, სოფლებში არსად გახსნილა ეს ხალხის განმანათლებელი წყარო. ისმის კი სასულიერო უფლების რაღაც მიწერილობაზე, რომ დიდს სოფლებში მღვდლებმა სასწავლებლები უნდა გახსნანო.

ჩვენ გვსურდა რამდენიმე სიტყვა ახალს სამოსამართლო წესდებულების რაჭაში დაფუძნებაზე გვეთქვა და აგვეწერა ის შთაბეჭდილება, რომელიც აქაურმა ხალხმა ახალის წესიდამ გამოიტანა; მაგრამ ჩვენი კორრესპონდენცია ისრეც ერთობ გაგრძელდა და გვეშინიან თავი არ მოვაწყინოთ ჩვენს მკითხველს, რომელსაც, ამაზედ ვთხოვ ნუ შემრისხავს,—გრძელი კითხვით თავის შეწუხება არ უყვარს... ამიტომაც ჩვენ როდისმე ახალი წესდებულების რაჭაში დაარსებაზე მოვილაპარაკებთ.

25 აპრილს. უხიმერიონელი.

## საექიმო ნაწილი.

### ძაღლების ცოფი.

ძაღლის ცოფი გადამდები ავადმყოფობაა და საშინელი მომაკვდინებელი თვისებისაა. პირველად მხოლოდ ძაღლებს, მგლებს და მელებს გაუჩნდებათ ხოლმე; გარნა სხვა ცხოველებსა და კაცს ამათგან გადაედება ხოლმე.

ცოფი ერთად ბევრ ძაღლებს არ მოედება, არამედ თითოობით გამოაჩნდება ხოლმე. ხო-

ლო შემდეგ, რომელთაც ცოფიანი დასცოფავს (უკბენს), იმათაც გამოაჩნდება ხოლმე.

### ცოფის ნიშნები.

ცოფიანი ძაღლი ანჩხლი (ბოროტი) ხასიათისაა, შფოთავს, სახლიდგან გარბის, პატრონს ველარ სცნობს და კბენის ნდომა ეძლევა. აგრეთვე, თავს დაუშვებს, თვალები უწითლდება, უელავს და ველურად (გარეულად) იყურება; ენა უსივდება, უშავდება და გარეთ აგდებს; პირიდგან ქაფი (დორბლი) ჰდის, და ტუჩებიც ქაფითა აქვს მოთუთხნული; ნაწყვეტ ნაწყვეტი და ხრინწიანი ყეფა აქვს, ზლაზვრით დადის და კუდს ჩამოუშვებს; საჭმელსა და სასმელს არ ეკარება, მაგრამ რაც არ იჭმევა, იმას კი ხარბათ ეტანება (საჭმელად) მაგ: ქვიშას, ნაფოტებს, ქაღალდს და მისთანას. ბოლოს წელი სწყდება (უკანატანი ერთმევა), მყრალი ყვანა ემართება; მანჭვა-გრეხა და თრთოლა მოსდის და ამ ყოფით კვდება.

ცხენებს, ხარებს, კამბეჩებს, ცხვრებს და სხვა პირუტყვებსაც იმ გვარი ნიშნებით აჩნდება ცოფი, როგორც ძაღლებს. ცოფიანი ცხენი ბორგავს, შფოთავს, ახურსა ჰკბენს, არავის არ იკარებს ახლოს, აგრეთვე არც პატრონს.

ცოფიანმა ხარებმა და ფურებმაც ტოკვა იციან, ერთ ალაგას არა დგებიან, აქეთ იქით ეხლებიან, ხრინწიანი ხმითა ბღავიან, იკბინებიან (ზეერჯერ თავის ტანსაცა ჰკბენენ) და უკანა ტანი ისე უსუსტდებათ, რომ დგომა აღარ შეუძლიანთ.

ცოფიან ცხვრებსა და თხებსაც თითქმის ისე მოსდისთ, როგორც ხარებსა და ფურებს; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ისინი ძალიან ხურუშიანები ხდებიან.

ღორებსა და კატებსაც ისე აჩნდება ცოფი, როგორც ძაღლებს.

შინაური ფრინველებისთვის კი ჯერ არავის შეუმცნევია ცოფიანობა,

### ზაფრთხილება და წამლობა.

ზამოცდილი ექიმები გვარწმუნებენ, რომ ძუ დაკოდილი ხვადი ძაღლები უფრო იშვიათად ცოფდებიან, ვიდრე დაუკოდავი ხვადები. ამის გამო ყველა ოჯახის პატრონს ურჩევნია ძუ ან დაკოდილი ხვადი ძაღლი, იყოლიოს (ხვადი ძაღლის დაკოდვა ადვილია და არც საშიშია: ვისაც კი დანის ხმარება შეუძლიან, ადვილად ამოსჭრის კვერცხებს, ოღონდ კი სამართებელი ან მჭრელი დანა ახმაროს).

ძაღლი ყოველთვის დაბმული უნდა ჰყვანდესთ, ამასთან ხუხულა უნდა გაუკეთონ, რომ სიცხემ, სიცივემ და ცუდმა ამინდმა არ შეაწუხოს; ყოველთვის მაძღრისად უნდა აჭამონ და კარგი წყალი უნდა ასვან; ახურების (ხროვობის დროს, ეს დრო ძაღლებისთვის ძალიან ცუდი დროა) უნდა გარეთ გამოუშვან ხოლმე, ამასთან ისეთ ნაირი ავშარა უნდა გაუკეთონ პირზე, რომ კბენა არ შეეძლოს.

ცოფის წამლობა ექიმებსაც უჭირდებათ,— და პატრონები ხომ სულ ვერ მოახერხებენ; ამისთვის, რომ ტყუილად დრო არავინ დაკარგოს, ისევ სჯობია ისე მოიქცნენ, რომ ცოფი არ გაუჩნდეს ძაღლს, და თუ გაუჩნდა— სხვა ძაღლებსაც არ გადაედოს. ამისათვის შემდეგი ღონისძიება უნდა მოიხმაროს ყველა პატრონმა:

1. ყველა ძაღლები უნდა დაბმული იყოლიონ; და თუ პატრონს ჰსურს, რომ დაუბმელი ჰყვანდეს, მაშინ ძაღლს პირზე უნდა ავშარა გაუკეთოს, რომ არავისი კბენა არ შეეძლოს.

2. თუ ვისიმე ძაღლი, პატრონის გაუფრთხილებლობით, უკბენს კაცს, მაშინ პატრონს კანონის ძალით ჯარიმას გადაახდევინებენ.

3. პატრონმა თუ შეატყო, რომ იმისი ძაღლი რითიმე არის ავად, მაშინვე სხვა ძაღლებს უნდა დააშოროს, მაგრა დააბას (ჯაჭვით) და არავინ არ უნდა მიუშოს იმასთან.

4. თუ ეჭვსი აიღონ, რომ ძაღლი ცოფიანია, მაშინ, თუ ძალიან ძვირი საშოვნელი არ არის და ადვილი გასამეტებელია, უნდა მოკლან, ღრმად ჩაფლან მიწაში და ზედ წყალ დაუსხმელი კირი უნდა დააყარონ.

5. რაც ცოფიანი ძაღლის ახლოს ყოფილა, ან რასაც მიჰკარებია, სულ უნდა დაწვან ან მიწაში ჩამარხონ; ფასიანი რამე უნდა ნაცარ-წმულში გამოხარშონ და რკინისა ან თუჯის ნივთი კი—ცეცხლში გამოწვან.

6. ცოფიანი ძაღლისაგან (ან სხვა პირუტყვისაგან) ნაკბენი პირუტყვი, სჯობია დაუყოვნებლად მოკლან და მიწაში ჩამარხონ.

7. იმ სოფლის ძაღლები, სადაც ფოფიანი ძაღლი გამოჩნდა, ყველა უნდა დააბან მაგრა და ბეჯითი თვალყური ადევნონ ერთ თვეს მაინც.

ცოფიანი ძაღლისაგან ნაკბენ კაცსაც ძალიან სწრაფად გადაედება ხოლმე ეს საშინელი სენი; ამისთვის საჭიროდ ვრაცხავ დაცოფილი კაცის ნიშნებიც ავწერო აქ, რომ ადვილად შეატყონ და თავის დროს უშველონ უბედურებას. დაცოფილი კაცი ნაკბენ ალაგას ქავილსა ჰგრძნობს, მოწყენილი შეიქმნება, დარდიანობს, მადა ეკარგება და ძილიც უკრთება. შემდეგ პარტასტიანი ცხელება უჩნდება: მთელი ტანი ენთება, თვალები უელვარებს, პირიდგანაც ფურთხი და ქაფი სდის; ავადმყოფს არაფერი არ ეყურება, გონება გამოცლილი წევს, ბოდავს, ხანდახან, თუ არ დააბეს, თავის ხელებსა ჰკბენს; ხრინწიანი ხმით ლაპარაკობს და საშიში სანახავია. სამ ან ოთხ დღეს შემდეგ უფრო და უფრო უძნელდება სენი და ბოლოს კვდება. როცა შეატყობენ, რომ დაცოფილია მაშინვე დაუყოვნებლად უნდა ნასწავლ ექიმს მიმართონ რჩევისთვისა და წამლობისთვის და სოფლის ცრუ ექიმებს არ უნდა ენდნენ ამ არა-სახუმრელ უბედურების დროს.

---

## საოჯახო ნაწლი.

### შემოსავალი ბატების გამრავლებისაგან.

პატარა მამულიან სოფლის კაცს მრავალი ბატის გაჩენა შეუძლიან. ამისთვის იმან ჯერ ცოტა უნდა გააჩინოს და მერე ნელნელა გაამრავლოს. სამყოფი იქნება პირველად ათი დედლისა და ორი მამლის ყოლა. ოთხ ან ხუთ კვირას შემდეგ ყოველი დედალი თხუთმეტ კვერცხს დაჰდებს; ეს კვერცხები აკრუხებულს ბატს ქვეშ უნდა დაუწყონ. ყველა კრუხი გამოსჩეკს ათს ან თორმეტს ჭუკს; ეს ჭუკები, თუ კარგი მოვლილები არიან, ექვს, შვიდს თვეს შემდეგ გაიყიდებიან ათ შაურად, ან სამ აბაზად; ზოგჯერ ოთხ აბაზზე და მანეთზე ზევითაც ავა ხოლმე კარგა მოვლილი ბატის ფასი. მაშ ათი ნასყიდი დედალი ბატი გამოსჩეკს ას ოც ჭუკს; ესენი რომ ექვს თვეს უკან საშუალო ფასად გაიყიდონ— თითო სამ აბაზად—აჰ ას ოც ბატში შვიდ თვე ნახევარს შემდეგ პატრონი აიღებს შვიდ თუმანსა და ორ მანეთს შემოსავალს თავის თორმეტი ბატიდგან და კიდევ იმდენი, მეორედ გამოჩეკილი პატარა ჭუკებიც ეყოლება. ოცი ბატი ორ ამდენ შემოსავალს მისცემს; ორმოცდა ათი—ხუთ ამოდენას, ესე იგი ოცდა თექვსმეტ თუმანს, და ასი ბატი კი—ათ ამდენს, ესე იგი სამოცდა თორმეტ თუმანს. ამ შემოსავალს გასავალიც რასაკვირველია ექნება, მაგრამ გასავალი შემოსავლის მესამედ ნა-

ლს ძლიერს დაიჭერს, ამისათვის, რომელი მე- ჯახისთვისაც კი სახეირხოა ბატების გაჩენა— რგი იქნება გააჩინოს და მით ქონება მო- ატოს.

რომ უფრო კარგად დაინახოს, ყველამ რამ- ენი შემოსავალი ექნება მეოჯახეს ბატების ჩენისგან და რამდენი გასავალი, აქ წარუდგე- თ მკითმეელს ამის ანგარიშს. ჩვენ ვიანგა- იშოთ ორმოცდა ათი ბატის გაჩენა და მო- ლა რა დაჯდება, რა შემოსავალს მისცემს ტრონს და მოგება რამდენი დარჩება.

### რა თანხაა საჭირო ორმოცდა-ათი ბატის გაჩენისთვის?

ორმოცდა ათი დედალი ბატი (თითო ათ აურად) იქს ოცდა ხუთ მანეთს. ორმოც- ა ათ დედალ ბატს ათი მამალი ბატი უნდა,— სეც იქს ხუთ მანეთს. სულ სამოცი ბატის ასყიდათ მოუნდება—სამი თუმანი.

სამოც ბატს მოუნდება ერთი პაოსკა,— ელირება თუმან ნახევარი.

ერთი ცხენი (საჭმლის მისატანად და ბატების ქალაქში ჩამოსაყვანად)—სამი თუმანი; მაგრამ რადგან სხვა საქმეზედაც შეიძლება მოიხმაროს ის, ამისთვის ბატების წილად ჩავაგდოთ თუმან ნახევარი. ერთი დიდი ვარცლი საჭმლისთვის—ორი მანეთი.

ერთი თიხის დიდი ქვაბი კართოფილის მოსახარშად (ბატებს ხანდახან მოხარშულ კართოფილს აჭმევენ)—ეს ელირება ერთი მანეთი.

თიხის ჩაფები (წყლისთვის), ორი ან სამი— ერთი მანეთი.

საბატე, ფართო,—შეიძლება წნულისა იყოს, მერე ბზე-გარეული ტალახით გალესილი— დაჯდება ბევრი-ბევრი ოთხი თუმანი.

ორმოცდა ათი ბუდის გაკეთება—სამი მანეთი.

მოულოდნელი გასავლისთვის—თუმანი

ეს სულ შეადგენს თითქმის თორმეტ-თუმანს.

### წლის გასავალი.

ერთი დღიური მიწა მოუნდება ამ ბატებს— საძოვრათ და ეზოთ—იმის ფასი (ქირა) წელიწადში ელირება ორი თუმანი.

ერთი დედაკაცი მოუნდება მომვლელად,— იმის შენახვა და ფასი ხუთი თუმანი.

თითო დედალი ბატი წელიწადში, სულ ცოტა, ოც ჭუკს გამოსჩეკს, ეს ჭუკები რამდენსამე თვეს შემდეგ გაიყიდებიან; მაშასადამე ჩვენ მთელ წელიწადს შესანახი ბატი ვიანგარიშოთ ოთხასი ბატი; ამათი საჭმელი მთელ წელიწადს ელირება სულ ბევრი—ათი თუმანი.

ცხენის შენახვა ელირება სამი თუმანი; რადგან სხვა საქმესაც გააკეთებს, ბატების წილად ჩავაგდოთ ამის ნახევარი—თუმან ნახევარი.

ამ დახარჯული თანხის სარგებელი ორ თუმანს იქს მთელ წელიწადში. ერთი კაცი, რომელიც წაასხამს ბატებს ქალაქს ან ბაზარში გასასყიდად, ელირება ჯამაგირი და შენახვა (მთელ წელიწადს ხომ საჭირო არ იქნება)— ორი თუმანი.

მოულოდნელი ხარჯიც თუმანი.

ეს სულ, პირველი თანხით, იქმს: ოცდათხუთმეტ თუმანს.

ორმოცდა ათი დედალი ბატი გამოსჩეკს წელიწადში, ერთმანეთზე რომ ვიანგარიშოთ: ათას ბატსა, ამათგანი რომ ასი შეინახონ საშენებლად და სხვა გაყიდონ, ცხრა ას სამოცი გაიყიდება.

### შემოსავალი ბატის გაყიდვისაგან.

ყველა დედალი ბატი სამჯერ აკრუხდება ხოლმე წელიწადში, და თითო აკრუხებამდის თორმეტ-თორმეტ კვერცხსა სდებს; ეს სულ შეადგენს წელიწადში თითო ბატზე ოცდა თექვსმეტ კვერცხსა. მაგრამ ვსთქვათ სხვა და სხვა შემთხვევისა გამო ამდენი ვერ დადო, ვთქვათ თითომ ოცი დადო. ორ აკრუხებაზე მაშ ოც ჭუკს გამოსჩეკს. ამ ანგარიშით პირველი გამოყვანით ორმოცდა ათი ბატი აძლევს პატრონს შემოსავალს—თითო რომ სამ აბაზათ გაიყიდოს—ოცდა ათ თუმანს. მეორე გამოყვანითაც ამდენსვე—ოცდა ათ თუმანს.

თითო ბატს წელიწადში ექვსი მისხალი გერმა (თივთიკი, ყუჰთუკი) გაეგლიჯება, მაშ ათას ბატს გაეგლიჯება სულერთად სამოცდა სამ გირვანქამდის. გირვანქა გერმა, სულ ცოტა, მანეთად გაიყიდება—ეს იქმს სამოცდა სამ მანეთს.

სულ შემოსავალი იქნება სამოცდა ექვსი თუმანი და სამი მანეთი.

ამასთან შემდეგი გარემოებანიც უნდა იქონიოს კაცმა: 1) ყველა ახალგაზდა ბატი ექვს მისხალზე მეტს მისცემს გერმას; გირვანქა ბევრჯერ შვიდ აბაზათაც გაიყიდება. აქ იმისთვის არის ნაჩვენები მცირე, რომ ანგარიშში უფრო არავინ მოტყუვდეს. 2) თუ კარგი მოვლა ექნება ბატს ოც კვერცხზე ყოველთვის მეტს დასდებს. 3) მაშ ჭუკებსაც მეტს გამოსჩეკს. 4) თითო ბატი ბევრჯერ სამ აბაზზე მეტად გაიყიდება, ხან და ხან ოთხაბაზათა და მანეთათაც იყიდება, რასაკვირველია, თუ ჩარჩებს არ მიჰყიდეს და თითონ ჩამოიყვანეს ქალაქს გასასყიდად. ვინ არ იცის, რომ ჩარჩი ყოველთვის ნახევარ ფასად ყიდულობს საქონელს იმ მაზანდაზედ, როგორც ქალაქში იყიდება, რომ გაყიდოს და თითონაც დარჩეს თავის შრომისა და სიარულის ფასი. ყველა საქონლის პატრონმა ყოველთვის თითონ უნდა წაიღოს თავის საქონელი ქალაქში ან ბაზარში გასასყიდად, რომ თავისი ნაშრომის მოგება ჩარჩების მაგიერად თითონვე დარჩეს. 5) ქალმებისა და ძველი ბატების გერმა არ არის ნაანგარიშევი—ესეც შეადგენს რასმე.

### წმინდა მოგება.

შემოსავალი ბატებისა, თივთიკისა და ბუმბულის გასყიდვისაგან იქნება სამოცდა ექვსი თუმანი და სამი მანეთი.

გასავალი კი—ოცდა თხუთმეტი თუმანი.

მოგება—ოცდა თერთმეტი თუმანი და სამი მანეთი იქნება.

ვინც ას ბატს იყოლიებს იმას უფრო ბევრი მოგება დარჩება, რადგან გასავალი საჭმელს გარდა ისევ ის იქნება: ისევ ერთი კაცი, ერთი დედაკაცი, ერთი ცხენი და პაოსკა მოუნდება, მხოლოდ ადგილი ცოტა დიდი უნდა, საჭმელიც მეტი. ამას გარდა ბევრისთვის არც ადგილი ელირება რამე, საჭმელზედაც იმდენს არ დახარჯავს, დედაკაციც საქირავებელი არ გაუხდება და ერთი სიტყვით გასავალი ნაანგარიშევზედ ცოტა დაუჯდება. ამის გამო ვისაც კი შეუძლიან, ძალიან კარგი იქნება, რომ ბატები გააჩინოს და რომ პირველად ბევრი ხარჯი არ მოუვიდეს—ცოტა უნდა გააჩინოს; ამასთან ბეჯითი ყურის გდება უნდა, რომ ის შემოსავალი მისცეს, რამდენიც ვიანგარიშეთ, თორემ, თუ ჩვენებურად დაუდევნელად მიანებეს თავი, მაშინ ბევრ შემოსავალს აღარ მისცემს. ვინც რამეს იწყობს გასაკეთებლად, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ დაუდევნელობით—მოგება უნახევრდება და ხან ზარალიც მიეცემა, და ბეჯითობისაგან კი ყოველთვის სრული მოგება ეძლევა.—ახლა ისა ვსთქვა თუ რა მოვლა უნდა ბატებს.

### რა ადგილი ვარგა ბატების მოშენებისათვის.

ბატები დიდის სარგებლობით გამრავლდებიან იქ, სადაც ბევრი მინდორი, საძოვარი და წყალი არის. იმათი შენახვა ძვირათ არა ღირს და მოვლაც დიდი არა უნდა რა; ბატები მალეც ეჩვევიან ყოველს შინაურს ფრინველს და ამიტომ შეუძლიან იმათ ყოფნა როგორც საბატეში, ისე საქათმეში, საინდოურეში და სხვ. ბატები მხოლოდ მაშინ იზრდებიან და მრავლდებიან კარგა, როდესაც ახლოს აქვსთ გაშლილი მდინარე ან განგებ გაკეთებული აუზი. ამ წყლის გარეშე კარგი ბალახი უნდა იზრდებოდეს, გაშლილი მინდორი უნდა იყოს, სადაც იმათ თავისუფლათ სიარული შეეძლოთ. შუა მინდორში არ უნდა შეუშვან ისინი, ამიტომა, რომ იმათი სკინტლი სწვამს ბალახსა და თითონაც ძირით ამოსჭამენ ხოლმე და გარდა ამისა იმათ სკინტლს სხვა გვარი უსარგებლო ბალახი ამოჰყავს. რაც იმათ შეუჭმელი რჩებათ, იმას სხვა შინაური საქონელიც არა სჭამს, იმიტომა რომ თავისის ნეხვით ბატები აფუჭებენ ყოველს მინდვრისა და საძოვრის ბალახსა, ამისთვის ისინი ყანებზე მოშორებულნი უნდა იყვნენ.

მაგრამ რასაკვირველია მებატე მარდი ბიჭი უნდა ჰყვანდეთ, რომ ყანებში შესული ბატების გამოყრა—არ ეზარებოდეს. თუ ბატების ფარა დიდი არ არის, და თუ იმათი შინ ჭამა ძვირათ არ უჯდება პატრონსა, მაშინ კი არ გირჩევდით სახლიდამ გარეთ გამოშვებასა, ამიტომა რომ გარეული ბატი ადვილათ გაიტყუებს ხოლმე თან. ბატის ხორცს უფრო გემო მაშინ ეძლევა, როდესაც იმისი საძოვარი გამხმარი და მჭლე ბალახია... დიდის სიამოვნებით ბატები ნამეტნავათ იონჯას, ვარდკაჭკას და სალათას სჭამენ; ეს საჭმელი ბატებზედ უფრო კიდევ ჭუკებს უყვარსთ. ბატების საძოვარი ულენცოფო, უშხამო ბალახი და უჭინჭრო უნდა იყოს; ჭინჭარი თავისი ეკლებით და უცნაური წვეთა სწყვენს ახალგარდა ჭუკებსა, მაგრამ თუ დაკეპილია, იმათი საყვარელი საჭმელია. მოხნულ ყანაზედ იმათი ძოვნაც სასარგებლოა, ამიტომა რომ იმათი სკინტლი ძალიან ასუქებს მიწასა.

### ბატების გამრავლებისათვის ვარგისი ეზო.

შინაური ფრინველის ეზო სულ მოშორებული უნდა იყოს შინაური რქიანი საქონლისაგან და შენობეებისაგან. ეზოში უნდა დაირგას ჩრდილიანი ხეები, ამიტომა რომ ფრინველს საშინლად უყვარს სიცხეში ჩრდილო, და ამ ხეების ხილი იმათთვის უწყინარი საჭმელია. შინაური ფრინველი თავისუფლად გაშვებული შინაურ ეზოებში სხვა შინაურ საქონლების შუა—უსარგებლოთ არ არის სახლის პატრონისათვის; მაშინ იმათი შენახვა უფრო იაფია და მერე ნეხვიდან ისინი ამოარჩევენ ხოლმე საჭმელად სხვა და სხვა მარცვლებს, რომელთაც ყანებში ამოჰყავთ ურგები ბალახი. თუ ახლოს ისეთი წყალი აქვსთ, სადაც ბანაობა შეუძლიანთ, მაშინ მებატის ზედამხედველობაც საჭირო არ არის. მაშინ მხოლოდ ჭამის დროს უნდა მორეკონ საერთო ეზოში და ისევ გარეკონ; მერე თითონ რომ იგრძნობს ჭამის დროსა მორეკაც აღარ მოუნდებათ, თითონ გამორბიან შინისკენ.

### როგორი უნდა იყოს საბატე.

საბატის სიწმინდე ყველაზედ უფრო საჭიროა; იქ უნდა შედიოდეს ყოველთვის წმინდა ჰაერი, ამისათვის ბატების გამოშვების შემდეგ კარებები და ფანჯრები სულ გაღებულნი უნდა დარჩნენ. ბატმა თუ ღამე ვიწრო მყრალს ადგილზედ გაატარა, კარებისაკენ ეტანება და როგორც კარებს ღიასა ნახამს, მაშინათვე გამორბის საბატიდგან. სიმყრალე და სიმურტლე ბატებს ძალიან აწუხებს და ამიტომა სძულსთ. ამ ნაირი საწყენი სიმურტლის გაშორებისათვის საბატეებს სხვა ნაირათ უნდა აშენდნენ; ისინი უნდა იყვნენ განიერნი, შიგნით თეთრათ კირით შელებილი, ხშირათ უნდა იწვებოდეს ჩალა, ხშირათ უნდა გამოიცვალოს ქვეშ რომ უგიათ ისა, ესე იგი ხშირათ უნდა გაიწმინდონ და თბილი წყლით გაირეცხონ ბატის ბუდეები; ესენი თუ სუფთად არ იქნებიან, შიგ წვრილი მკბენარი ჭიები იბადებიან და უშლიან დედლებს კვერცხის დებასა. ზამთარს ძალიან არ უნდა ციოდეს და ზაფხულს ძალიან არ უნდა ცხელოდეს იქა, თორემ ბატის ბუნება არ იტანს ამებსა და გამორბის საბატიდგან, სხვა ადგილს ეძებს.

### ბატების საჭმელი

ბატი ყველა ფერსა სჭამს, მაგრამ საყვარელი იმისი საჭმელი ქერი და შვრია არის; სადაც სიმინდი მოდის, იქ ამასაც სიამოვნებითა სჭამენ; გრგვლათ დაჭრილი კარტოფილი და ქატოც უყვართ იმათა. ბალახებში ბატს უყვარს იონჯა, სალათა, ლომისპირა.

უწმინდა წყლოდ ძალიან შეწუხდება ბატი, ასე რომ თუ ახლო ისეთი წყალი არ არის, სადაც ბანაობა შეუძლიანთ, განგებ ეზოში უნდა გაუკეთონ კარგი მოდიდო აუზი.

---

## სხვა და სხვა ამბავი.

— ეხლა თუმც ზაფხული დადგა, მაგრამ ქალაქ ტფილისში და მის გარეშე ასე გვეგონება შემოდგომა იყოსო. აგერ ორიოდ კვირა იქნება ძალიან გრილა, იმ კვირას ოთხიოდ დღე კარგი წვიმები იყო და თიბათვის ცხრა და ათს ასეთი ცივი ქარი იყო ქალაქში, რომ საზაფხულო ტანისამოსით ჩაცმული ადამიანი გაცივდებოდა. ჯერ კი არა შეგვიტყვია რა და იქნება სეტყვა ან ძალიანი წვიმა მოსულიყოს სადმე ახლოსა. შორიდგანაც ამბები მოდის, რომ ძალიან წვიმებიაო მეტადრე იმერეთში. ამას გარდა ნუხისა და შამახისკენ ყოფილა დიდი წვიმები. თუ ცოტაოდე კაი დღე გასტანა ამ ავდრიანობამ, ძალიან ფიქრი უნდა გვქონდეს წრევანდელ მოსავალზე. ღმერთმა დაგვიფაროს ცუდ ამინდისაგან; მაგრამ ჩვენც კი სითხილე გვმართებს და ეხლავე ხელი კარგა უნდა შევუწყოთ ჩვენ ჭირნახულსა რამდენათაც ძალი და ღონე მოგვდევს.

— მატყლის ვაჭრობა ქალაქში კარგათ ვერ მიდის. საფრანგეთის მხარეში ჩვენი მატყლი, აბრეშუმი და ბამბა ბლომათ გააქვთ ხოლმე. ეხლა საფრანგეთის მხარიდამ მარსელის ქალაქიდგან იბარებენ მატყლს, მაგრამ კაი ვაჭრობა არ არისო, თუმცა ძვირათ არა ფასობს. ჯერ ჯერობით ექვსი ათასი ფუთი ახალი მატყლი გაყიდულა. სამი ათასი ფუთი იმერეთში წასულა იქ სახმარებლათ. დანარჩენი სამი ათასი ფუთი საფრანგეთში, მარსელის ქალაქში გაუგზავნიათ. თუშური მატყლი ყოველთვის უფრო მეტათა ფასობს. ეხლა ღირს ფუთი ხუთი მანეთი და ერთი აბაზი და ხუთი და ათი შაური; თათრული ფასობს სამ მანეთათა და ორ აბაზათა, და სამათა და სამ აბაზათა.

— აბრეშუმი კარგი მოსულა წრეულს და ფუთი ფასობს თორმეტ მანეთათ. ამბობენ ეს კაი მოსავალი აბრეშუმისა იმისაგან არისო, რომ ახალი ჭიის თესლი გაუჩენიათ. ეს თესლი იაპონიის თესლია და ჩვენშიაც ზოგან უშოვიათ. ქალაქში სოფლის მეურნეობის დეპოში ისყიდება და არც ძვირია. ნუხში ყოველთვის აბრეშუმი ბევრი მოდის. ამ უკანასკნელ წელიწადებში ნუხშიაც აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა გაჩნდა, და წრეულს ჭიის ავათმყოფობა უფრო ნუხში მომატებით არისო, ვიდრე სხვა ადგილებში. მაინც კი წრეულ უფრო კაი მოსავალი იქნება შარშანდელზე.

— ბამბა აპრილში ფუთი რვა და ერთ აბაზათ იყიდებოდა; ახლა ფასი დაეცა და ხუთათ და ათ შაურათა ფასობს. ეს ამიტომ მოხდა, რომ ბამბა ისე აღარ იყიდება საცა ადრე იყიდებოდა. აქაურ ვაჭრებს იმედი აქვთ საფრანგეთიდამ მარიამობის თვეში დაიბარებენო.

— რუსული შაქარი ღირს ფუთი რვა მანეთათა, რვათა და ერთ აბაზათ; ინგლიზის შაქარი რვათა და ორ აბაზათ, რვათა და ათ შაურათ.

— პოლიმპერიალი (ხუთ მანეთიანი ოქრო) ფასობს ექვს მანეთათ და ერთ შაურათ, ექვს მანეთათ და რვა კაპეიკათ.

---

• Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го іюня 1868 г.

ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.